

პროკურატურის განცხადება სკანდალურ ვიდეოზე და მარნეულის მერის დაკავებაზე



საქართველოს პროკურატურა ე. მარნეულის მერის დაკავებაზე და გუშინ გავრცელებულ ვიდეოზე განცხადებას ავრცელებს:

“საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ე.მარნეულში მოქადაქე ედრინ ადახვერდიევის მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ბრადღებუდად იქნა დაკავებული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, ხოლო ამავე მოქადაქის ცემის ფაქტზე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს პარლამენტის წევრის, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ – აზერ სუდეიმიანოვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პარტია „ქართული ოცნებიდან“ – რამინ ადახვერდიევის და მარნეულის მერის ნათესავის, მოქადაქე ე.გ-ს მიმართ.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 10 ივნისს, ედრინ ადახვერდიევი იმყოფებოდა ე. თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, სადაც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერზე, თემურ აბაზოვზე განაწყენებუდმა, სოციალურ ქსედ „ფეისბუქის“ მეშვეობით განახორციედა პირდაპირი ვიდეორჩართვა, რა დროსაც, თემურ აბაზოვის მეუღდეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. იმავე დდეს, ღამის საათებში, მას დაუკავშირდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

რავიმ ასკეროვი, რომედმაც სთხოვა შეხვედრა. რ.ასკეროვის მოთხოვნით ისინი შეხვედრენ ერთმანეთს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის ოფისში, რომელიც მდებარეობს ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე. ოფისში ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აზერ სურეიმიანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „ქართული ოცნებიდან“ რამინ ადახვერდიევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ნათესავი ე.გ და სხვა პირები. პარლამენტის წევრმა აზერ სურეიმიანოვმა ეღიინ ადახვერდიევს მოსთხოვა აეხსნა, ვისი დავალებით განახორციედა სოციალური ქსელის პირდაპირ ეთერში გემოაღნიშნული ვიდეორჩაგვა, რის შემდეგაც აზერ სურეიმიანოვმა, რამინ ადახვერდიევმა და მოქალაქე ე.გ-მ ეღიინ ადახვერდიევს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

აღნიშნულის შემდეგ, ეღიინ ადახვერდიევი მარნეულის საკრებულოს წევრებმა ჯეიხუნ ჩოიდაროვმა და რამინ ადახვერდიევმა წაიყვანეს ქ.მარნეულში, ე.წ. “უეუებეს” რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ ეროდებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი. მისვლისთანავე თემურ აბაზოვმა ეღიინ ადახვერდიევს შეაფურთხა სახეში და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, შემდეგ აიძუდა ჩართულიყო ფეისბუქის პირდაპირ ეთერში, მოეხადა ბოლიში და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა საკუთარი ცოლისთვის, ბოლოს კი მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა ძაღაღობით, ღირსების შედახვის მუქარით, ეღიინ ადახვერდიევი აიძუდა მოეშარდა ჭიქაში და შარდით მოეხანა სახე.თემურ აბაზოვი დაკავებურია საქართველოს სსკ-ს 1443 მუხრის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წრამდე ვადით;რამინ ადახვერდიევის და მოქალაქე ე.გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხრის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრადღება სასჯელის სახით ითვარისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წრამდე ვადით.საქართველოს პარლამენტის წევრის აზერ სურეიმიანოვის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხრის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სისხრის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც წარედგინება საპროცესო კოდექსით გათვარისწინებური წესებისა და ვადების დაცვით. აღნიშნული დანაშაური სასჯელის სახით ითვარისწინებს

თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.საქმეზე ტარდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულში მონაწილე სხვა შესაძლო პირთა დადგენა – მხილების მიზნით.”– ნათქვამია განცხადებაში.